



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№ 20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება N073/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით II ტურისთვის N12 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის NN12.20.42. 12.20.79 საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

ქ. რუსთავი

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის „ო“ პუნქტის, 29-ე მუხლის 1-ლი, 1¹-ლი პუნქტების, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2020 წლის 23 ივლისის N16/2020 დადგენილების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის პირველი სექტემბრის N69/2020 განკარგულებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პირადი განცხადებების საფუძველზე, N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება N12.20.42 საარჩევნო უბნის წევრს ნინო ხუციშვილს;

მუხლი 2. ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება N12.20.79 საარჩევნო უბნის წევრს გვანცა ტატუაშვილს;

მუხლი 3. ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება N12.20.79 საარჩევნო უბნის წევრს ანა ხმელიძეს;

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში;

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

გაგა აფციაური

კომისიის მდივანი

ხათუნა გოშაძე

